

ჯილდო "ჯორჯიან მანგანებს" - სამუშაო უსაფრთხოებისა და ეკოლოგიის დაცვისთვის

 liberali.ge/news/view/25958/jildo-jorjian-manganezs--samushao-usaftrkheobisa-da-ekologiis-datsvistvis



„ჯორჯიან მანგანები“ წლის საუკეთესო კომპანიად დასახელდა. კომპანია "ჯორჯიან თაიმსმა" შემდეგი კრიტერიუმების გამო დააჯილდოვა - საინვესტიციო მიმზიდველობა, სამუშაო უსაფრთხოებისა და ეკოლოგიური ნორმების უმაღლესი სტანდარტი, კორპორატიული პასუხისმგებლობა.

კრიტერიუმების ჩამონათვალის გამო აღნიშნულმა ჯილდომ გარემოს დამცველი ორგანიზაციების წარმომადგენლებში ორაზროვნება გამოიწვია. "მწვანე ალტერნატივას" აღმასრულებელი დირექტორი, ნინო გუჯარაიძე ამბობს, რომ ეს ფაქტი ბევრ ეჭვს ბადებს იმ პირობებში, როცა კომპანია სახელმწიფოს მიერ გარემოზე მიყენებული ზარალის გამო 358 მილიონი ლარითაა დაჯარიმებული. საუბარია 2014 წლის აპრილში გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ „ჯორჯიან მანგანების“ სალიცენზიო პირობების შემონგების შემდეგ, გარემოზე მიყენებული ზიანის გამო კომპანიის დაჯარიმებაზე.

საქმე ჯერჯერობით ფინანსურ პოლიციაშია გადაგზავნილი, რაზეც დღესაც მიმდინარეობს გამოძიება. კომპანიის განცხადებით, ჯერ საჭირო მასალების მოპოვების პროცესში არიან და სასამართლო პროცესი ჩანიშნული არაა. ამავე საქმეზე 2016 ოქტომბერში, ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა, კომერციული მოსყიდვის ფაქტზე შპს "ჯორჯიან მანგანების" იურისტი, მირიან ბიჭიკაშვილი სისხლის სამართლის პასუხისმგებაში მისცა. ბიჭიკაშვილს ქრთამის გადაცემა იმ საექსპერტო ჯგუფისთვის ედება ბრალად, რომელსაც კომპანიის მიერ გარემოსთვის მიყენებული ზიანის გამოთვლა ევალება.

"ჯორჯიან მანგანების" საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, ზაქარია ზალიკაშვილი "ლიბერალთან" იმ მიზეზებზე საუბრობს, რის გამოც კომპანიამ ჯილდო მიიღო. მისი განმარტებით, ბოლო 2 წელიწადია ზესტაფონის ფეროშენადნობ ქარხანაში აქტიური მუშაობა დაიწყო, რომ გარემოზე მავნე ზემოქმედება მაქსიმალურად შემცირდეს. მაგალითად, დაიწყო 11 ძველი ღუმელის კაპიტალური შეკეთება, თითოეული ღუმელის შეკეთების ღირებულება 200-დან 300 ათასამდე დოლარი იყო. სექტემბერში გაიხსნა ახალი ღუმელი, რომელიც ულტრათანამედროვე სადნობია(7,2 მილიონი დოლარის ღირებულების). ზალიკაშვილის თქმით, ეს ღუმელი კვამლის ქარხანაში გავრცელებას მაქსიმალურად ამცირებს და გარემოზე მავნე ზემოქმედებაც მინიმუმადეა დაყვანილი. გარდა ამისა, მისივე განმარტებით, ადრე ქარხნიდან გამოტანილი ინერტული მასები(წიდა) თუ ქარხნის გარეთ, ზესტაფონის

ძველი ბაზრის ტერიტორიაზე იმარხებოდა, ახლა ქარხნისავე ტერიტორიაზე გაკეთებული სეპარაციის ფუნქციის მქონე ტექნიკით, ამ მასას აცალკევებენ და მეორად სამშენებლო მასალებად გადააქცევენ.

"ასევე, დავაყენეთ სრულიად ახალი გაზგამანადმენები, დამონტაჟდა გენერატორები, ფილტრები გამოვცვალეთ.. სულ 22 ათასი ფილტრი შევცვალეთ. და მნიშვნელოვანია, რომ ზესტაფონის 4 ლოკაციაზე დავაყენეთ ჰაერის დაბინძურების მონიტორინგის სადგურები, ადგილების შერჩევაში თავად გარემოს დაცვის სამინისტრო დაგვეხმარა. ფინანსურად კი 230 ათასი დოლარი დაგვიჯდა. სადგურები ამონმებს ჰაერის დაბინძურების დონეს ყველა კომპონენტით, იქნება ეს ნატრიუმის დიოქსიდი, გოგირდის ოქსიდი თუ სხვა ნაწილაკები. ჩვენი კომპანიის ფილოსოფია და მიდგომაა, რომ რაც შეიძლება ნაკლები ზიანი მიადგეს გარემოს", - ამბობს ზაქარია ზალიკაშვილი.

რაც შეეხება ჭიათურას, სადაც კომპანია მაღაროებში მანგანუმს მოიპოვებს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაციით, რეგიონში წლებია არ ჩატარებულა რეკულტივაცია(მინის პროდუქტიულობის აღდგენა, რომლებიც უნაყოფო გახდა ადამიანის მოქმედების - სასარგებლო წიაღისეულის ამოღების, ჰიდრონაგებობათა მონყობის, ტყეების გაჩეხის, ქალაქთმშენებლობისა და მიზგების გამო).

"ჯორჯიან მანგანუმმა" ბოლო ორი წელიწადია ღია კარიერებზე ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაცია დაიწყო. 16 ჰექტარზე უკვე დასრულებულია ბიოლოგიური რეკულტივაცია, 10-ზე ტექნიკური, უბრალოდ, სიცივეების გამო ამ სეზონზე ხეების დარგვა ვერ მოვასწარიტ. მომავალი 10 წლის განმავლობაში 90 ჰექტარამდე მიწა უნდა აღვადგინოტ. თუმცა სანამ ბოლომდე არ მოხდება მანგანუმის ამოღება, რეკულტივაციის პროცესიც ვერ დასრულდება", - აღნიშნა ზალიკაშვილმა.

შრომის უსაფრტხოება - ეს კიდევ ერთი კრიტერიუმია, რის გამოც კომპანია დაჯილდოვდა. ზაქარია ზალიკაშვილი განმარტავს, რომ შრომის პირობების გაუმჯობესების გამო კომპანიაში მუშების სანარმო ტრავმები "მნიშვნელოვნად არის შემცირებული":

"ჩვენ დავნერგეთ სისტემა და მკაცრად აღვრიცხავტ ხელის გაჭრის ფაქტებსაც კი, მიუხედავად დატვლის სისტემის შემოღებისა, რაც ადრე არასრულყოფილად ხდებოდა, ბოლო წლებია ასეთი სანარმო ტრავმები საგრძნობლადაა შემცირებული. ასევე დასაქმებულებს ინტენსიურად ვუტარებტ შრომის უსაფრტხოებასთან დაკავშირებულ ტრენინგებს და საბოლოოდ, ვამონიტორინგებტ პროცესს".

ჭიათურის მაღაროელტა პროფესიული კავშირების თავმჯომარე პაატა სამხარაძე კომპანიის დაჯილდოების მიზგს ვერ განმარტავს. ამბობს, რომ შრომის უსაფრტხოების კუტხით, კომპანიაში შესაძლოა გარკვეული ნაბიჯები გადაიდგა, თუმცა რეალური სურათი ამას არ შეუცვლია და მუშები სანარმო ტრავმებს იმავე ინტენსივობით იღებენ, როგორც წლების წინ:

"გარდა ამისა, კომპანია, რომელიც 358 მილიონი ლარითაა გარემოს ზემოქმედებაზე დაჯარიმებული, გაუგებარია ამ კრიტერიუმებით როგორ გაიმარჯვა "ჯორჯიან მანგანუმმა", - ამბობს სამხარაძე.

"ჯორჯიან მანგანუმი" საქარტველოში ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინდუსტრიული კომპანიაა, რომელიც აერთიანებს ჭიათურის მანგანუმის საბადოსა და მანგანუმის დამუშავების სანარმოს; ზესტაფონის ფეროშენდობისა და სილიკონმანგანუმის ქარხანას და ვარციხეჰესის ჰიდროელექტროსადგურს. კომპანიაში 6000-მდე ადამიანია დასაქმებული.

ამავე ტემაზე:

შრომა გადარჩენისათვის

ამავე თემაზე:

ქალაქი შავი კონტურებით